ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**გ-13.13211816**
თარიღი:**30/06/2021**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. N 1-ში, „ახალციხის ციხის“ ტერიტორიაზე (62.09.51.255) N 48-ე და N 49 ნაგებობებში განთავსებული სარესტორნო ფართი განკარგოს ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით და შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის“ 2021 წლის 25 ივნისი N 211 აუდიტორული დასკვნის თანახმად - საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 30000,00 (ოცდაათიათასი)ლარის ოდენობით;

2. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. N 1-ში, „ახალციხის ციხის“ ტერიტორიაზე (62.09.51.255) N 94-ე შენობიდან 6 კვ.მ. და ფართის მქონე თითო თაღი განკარგოს ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით და შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის“ 2021 წლის 25 ივნისი N 211 აუდიტორული დასკვნის თანახმად - საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 1080,00 (ათასოთხმოცი)ლარის ოდენობით;

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი